COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

1-3 აგვისტო
სამოქალაქო ჩართულობის ახალგაზრდული ბანაკი

შეცვალე სცენარი - შეასრულე შენი როლი!

- გსურს უკეთესებისკენ შეცვალო გარემო სადაც ცხოვრობ?
- მზად ხარ შეცვალო სცენარი და შეასრულო შენი როლი?
- გაინტერესებს როგორ შეგიძლია ამის გაკეთება ?

მაშინ

ახალგაზრდული ბანაკი შენთვისაა!

განაცხადების შემოტანის ვადა 26 ივლისი 2023

გიწვევთ

სამოქალაქო ჩართულობის ახალგაზრდულ ბანაკში მონაწილეობის მისაღებად.

იცოდით, რომ 25 წლამდე ახალგაზრდები საქართველოს მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით ერთ მესამედს წარმოადგენენ?

ისინი სარგებლობენ საჯარო მომსახურებით, როგორიცაა პარკები, ბიბლიოთეკა, სკოლა ან სამსახური და კარგად იცნობენ საკუთარი ქალაქის საჭიროებებს. ახალგაზრდებს აქვთ უნარი დაინახონ და გამოხატონ თავიანთი პოზიცია იმაზე, თუ რა მოსწონთ თავიანთ მუნიციპალიტეტში და რა საჭიროებს გაუმჯობესებას.

ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში დემოკრატიის ერთ-ერთი ბერკეტია.

დროა - **შეცვალო სცენარი - შეასრულო შენი როლი!**

1-დან 3 აგვისტოს ჩათვლით, ახალგაზრდული ბანაკი საშუალებას მისცემს 30-მდე ახალგაზრდას საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან გაეცნონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის ეფექტურ გზებს და მათი საჭიროებებისა და იდეების ადვოკატირებას. სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ინტერაქტიული დისკუსიები, თამაშები, პრეზენტაციები და არაფორმალური დისკუსიები, რათა ახალგაზრდებს მისცეს ყველა შესაძლო რესურსი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური ჩართულობისთვის.

დაინტერესებული ხართ ბანაკში მონაწილეობით?

შეავსეთ სააპლიკაციო ფორმა აქ:

[სააპლიკაციო ფორმა]

დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ:

info@dean.ge

DEAN Consulting

აპლიკაციების შევსების ბოლო ვადაა:

26 ივლისი, 2023 წელი, თბილისის დროით 23:59 საათამდე.

მოუთმენლად ველით თქვენთან შეხვედრას ახალგაზრდულ ბანაკში!

ღონისძიება ხორციელდება ევროპის საბჭოს პროექტის „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ ფარგლებში, რომელსაც ერთობლივად ახორციელებენ დემოკრატიისა და ადამიანის ღირსების გენერალური დირექტორატის არჩევნებისა და მონაწილეობითი დემოკრატიის სამმართველო და ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი, საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით.

ევროპის საბჭოს შესახებ

ევროპის საბჭო არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 46 წევრ სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს, რომლის მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვა და დემოკრატიის ხელშეწყობა. პროექტი „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ მიზნად ისახავს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თქვენს საცხოვრებელ ქალაქებში, რეგიონებსა თუ ზოგადად ქვეყანაში, გათვალისწინებული იყოს ყველა მოქალაქის, მათ შორის ახალგაზრდების, ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები და ინტერესები. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ევროპის საბჭო ერთის მხრივ, ხელს უწყობს ადგილობრივ გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს დანერგონ ის ინსტრუმენტები და მეთოდლოგიები, რაც გაზრდის მოსახლეობის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მეორეს მხრივ, წაახალისებს რიგით მოქალაქეებს ჩაერთონ მონაწილეობით ინიციატივებში, როგორიცაა, მაგალითად, კონსულტაციები ან მოქალაქეთა ასამბლეა.

სამოქალაქო ჩართულობის ახალგაზრდული ბანაკი საშუალებას მისცემს 30-მდე ახალგაზრდას საქართველოს 15 მუნიციპალიტეტიდან გაეცნონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისა და ეფექტური მონაწილეობის გზებს.

სამიზნე მუნიციპალიტეტებია:

- თბილისი
- მარნეული
- ახმეტა
- ამბროლაური
- ბოლნისი
- ბორჯომი
- ჩოხატაური
- გორი
- ონი
- ოზურგეთი
- თელავი
- თეთრიწყარო
- წყალტუბო
- ზესტაფონი
- რუსთავი



ახალგაზრდული ბანაკი გაიმართება თბილისში, 1-დან 3 აგვისტომდე.
მონაწილეები ჩამოვლენ 31 ივლისს საღამოს, ხოლო რეგიონებში
დაბრუნდებიან 3 აგვისტოს.
ევროპის საბჭო დაფარავს ახალგაზრდულ ბანაკში
მონაწილეობისთვის საჭირო ყველა ხარჯს -
ტრანსპორტირება, განთავსება და კვება.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

რატომ არის საინტერესო ახალგაზრდული ბანაკი?

ახალგაზრდული ბანაკის დროს თქვენ:

- გაეცნობით ახალგაზრდების მონაწილეობის სხვადასხვა ფორმებს და როგორ შეგიძლიათ გავლენის მოხდენა თქვენს მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე ;
- აღმოაჩენთ ახალგაზრდების მონაწილეობის საუკეთესო მაგალითებს და პრაქტიკას ევროპის მასშტაბით ;
- დაეუფლებით ევროპის საბჭოს სამოქალაქო მონაწილეობის ინსტრუმენტს, როგორიცაა UChange ;
- შეიძენთ თანამოაზრეებს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან, ვინც მზადაა თქვენსავით ცვლილებებისთვის.

ახალგაზრდული ბანაკი ჩატარდება ქართულ ენაზე და გააერთიანებს თამაშებს, არაფორმალურ და ინტერაქტიულ დისკუსიებსა და პრეზენტაციებს წამყვანი ექპერტების მხრიდან ახალგაზრდების ჩართულობაზე. მონაწილეები ასევე გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებას სამოქალაქო აქტივიზმის კუთხით, იმ მიღწევებსა და გამოწვევებს, რომელთანაც უწევთ შეხება და თავიანთ სამომავლო გეგმებს აღნიშნულ სფეროში.

ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?

მონაწილეობის მისაღებად შენ უნდა:

- იყო 18-22 წლამდე;
- ცხოვრობდე სამიზნე მუნიციპალიტეტში(სია იხილეთ ზემოთ)
- იყო მოტივირებული აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდული ბანაკის პროგრამაში;
- გქონდეს სურვილი შეცვალო სცენარი - შეასრულო შენი როლი, ბანაკის დასრულების შემდგომ.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

თვლი რომ აკმაყოფილებ ყველა კრიტერიუმს და გაინტერესებს როგორ უნდა მიიღო მონაწილეობა ?

შეავსეთ სააპლიკაციო ფორმა აქ:

სააპლიკაციო ფორმა

დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ:

info@dean.ge

DEAN Consulting

აპლიკაციების შევსების ბოლო ვადაა:

26 ივლისი, 2023 წელი, თბილისის დროით 23:59 საათამდე.

აღნიშნული დროის შემდგომ შემოსული განაცხადები არ განიხილება .

ევროპის საბჭოს მიერ შერჩეული 30 მონაწილე მაქსიმალურად იქნება წარმოდგენილი გენდერულ, ასაკობრივ, რეგიონალურ თუ კულტურულ ჭრილში. შესაძლოა შეიქმნას მომლოდინეთა, ეგრეთ წოდებული სარეზერვო სია. ყველა კანდიდატი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმირებული იქნება არაუგვიანესს 2023 წლის 28 ივლისისა.